ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის

მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 17 იანვრის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 2

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

17 იანვარი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - დავით კიკნაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო" -ს თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე

სათათბირო ხმის უფლებით ქეთევან ზუმბაძე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე

მერიის წარმომადგენლები:

ზურაბ იჩქიტიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შაეიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ზ. იჩქიტიძის ანგარიში სამსახურის მიერ 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

აზრი გამოთქვეს:

თ.ავალიშვილმა, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარემ, რომელმაც მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა, თუ არის შემთხვევები, როდესაც მეწარმე ვერ ასრულებს ან ასრულებს უხარისხოდ სამუშაოს და მასზე კვლავ ფორმდება სხვა ხელშეკრულება

ზ. იჩქიტიძემ უპასუხა, რომ ახლა ზუსტად ვერ იხსენებს, თუმცა ფიქრობს, რომ მსგავსი შემთხვევა იქნება

დ. კიკნაძემ, სხდომის თავმჯდომარემ, დაავალა მომხსენებელს, თ. ავალიშვილის მიერ დასმულ შეკითხვაზე კომისიის სხდომისათვის წარმოედგინა დაზუსტებული ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.
2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს ყველა კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის , საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მან საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილი ცვლილების გამო, საკრებულოს რეგლამენტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა წარმოდგენილი ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.
2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2022 წლის 07 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 თებერვლის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე